



## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 4

### განკარგულება

31/01/2020

#### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



### ანგარიში

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, რომეო ნიჟარაძე არჩეულ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბერს (N 36 143 განკარგულება). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N 36 148 განკარგულებით კი დამტკიცდა კომისიის ახალი შემადგენლობა. მასში ცვლილება შევიდა 2019 წელსაც. კომისია შექმნილია საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით.

იურიდიულ საკითხთა კომისია მუშაობს საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. იგი კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2019 წელს ჩაატარა 31 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 76 საკითხი (დანართი თან ერთვის). კომისიამ შეიმუშავა, განიხილა და საკრებულოს სხდომისთვის მოამზადა საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტები და დასკვნები, რომლებიც წარუდგინა საკრებულოს ბიუროს. რიგ შემთხვევებში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული იქნა რიგი სამართლებრივი აქტების პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილებისა და განკარგულების პროექტები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კონკრეტულად ჩვენი კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება, განკარგულებები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2019 წლის საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხები რომელზედაც მიღებულ იქნა  
შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სულ 76 საკითხი)

23 იანვარი

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 აგვისტოს N 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N 72 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
4. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ს თანამშრომელთა სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

25 იანვარი

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე
6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 36 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1 თებერვალი

7. გრიგოლ ივანეიშვილის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, სამსახურებრივი ავტომატის გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ
9. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

6 თებერვალი

10. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის

შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

12 თებერვალი

11. გრიგოლ ივანიშვილის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ

22 თებერვალი

12. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს თანამშრომელთა სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

13. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2019 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

28 მარტი

14. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის N 70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

15. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

16. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის“-ს ცენტრის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

17. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

18. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიმწოდებლების შერჩევის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ

19. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ თანამშრომელთა სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

20. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა

21. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 36 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

22. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამრკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

4 აპრილი

23. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამრკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

24. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ სამტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

12 აპრილი

25. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამრკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

26. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

22 აპრილი

27. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიში 2018 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით

10 მაისი

28. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს სახელწოდების შეცვლის და წესდების ახალი რედაქციით დამრკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

14 მაისი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს სამტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამრკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

29 მაისი

29. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს თანამშრომელთა სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

30. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

31. სოფელ მაღლაკში, კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეზოს აღმოსავლეთ მხარეს ბეტონის დეკორატიულ ღობეზე დავით კონსტანტინეს ძე ნიჟარაძის, თომა ივანეს ძე ტყემელაშვილის, რაჟდენ ვლადიმერის ძე ლაჭავას და ზოსიმე ივლიანეს ძე ჟორჟოლიანის მემორიალური დაფების განთავსების შესახებ

32. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 იანვრის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

33. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ომარ სინაურიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

31 მაისი

34. შპს „გეგუთი“-ს ლიკვიდაციის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

35. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს სახელფასო განაკვეთში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

10 ივნისი

36. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N 36 150 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

27 ივნისი

37. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ

38. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა

39. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ 2017 (ნოემბერი-დეკემბერი) – 2018 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

40. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვა

28 ივნისი

41. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვა

42. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 ივნისის N31/3344 წერილი, წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი „სამგურალის“ საკუთრებაში გადმოცემისა და ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

25 ივლისი

43. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისი N 36 99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
44. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანები“-ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“, ცვლილების შეტანის თაობაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
45. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს თანამშრომელთა სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფრომაციის თაობაზე

7 აგვისტო

46. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ.
47. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია) შენობა- ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

6 აგვისტო

48. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „წყალტუბოს განვითარებისათვის“ შექმნის, შემადგენლობის, ფრაქციის პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ
49. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

29 აგვისტო

50. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბერის N 70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
51. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის N°20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
52. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ივნისის N°26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

## 26 სექტემბერი

53. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ (ს/კ 421271670) და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების“ (ს/კ 421268023) რეორგანიზაციის (შერწყმის) დაწყების თაობაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
54. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა
55. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ სახელფასო განაკვეთში ცვლილებების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

## 9 ოქტომბერი

56. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა მეტრეველის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

## 15 ოქტომბერი

57. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ გაბუნიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ  
29 ოქტომბერი
58. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთში ცვლილებების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე
59. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთში ცვლილებების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე
60. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ სახელფასო განაკვეთში ცვლილებების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე
61. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს სათნოების სახლი“-ს“ თანამშრომლების სამუშაო პირობების, შინაგანაწესის დაცვის, ადმინისტრაციული საქმისწარმოების და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე
62. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს არენას“ მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის შპს „საფეხბურთო კლუბი სამგურალის“ წილის შეძენის მიზანშეწონილობის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

## 7 ნოემბერი

63. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის N 35/152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ



19 ნოემბერი

64. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ, პროექტის განხილვა

22 ნოემბერი

65. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

66. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულებების პიზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატოს ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

67. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 36 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

5 დეკემბერი

68. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N 36/171, N 36/172, N 36/173, N 36/174, N 36/175 და N 36/176 განკარგულებების შესახებ.

11 დეკემბერი

69. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ (ს/კ 421274506) რეორგანიზაციის დაწყების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

70. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ (ს/კ 421272027) რეორგანიზაციის დაწყების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

71. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ (ს/კ 421271670) რეორგანიზაციის დაწყების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

72. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების“ (ს/კ 421268023) რეორგანიზაციის დაწყების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

73. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

74. შპს „საფეხბურთო კლუბ სამგურალის“ წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

26 დეკემბერი

75. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის 2020 წლის პირველი კვარტლის გეგმის“ დამტკიცების შესახებ

76. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო